



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31210821  
თარიღი: 23/03/2021

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**ფრაქცია „ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“**

**სხდომის ოქმი №4**

**ქ. ლანჩხუთი**

**22.03.2021 წელი**

**14:00 საათი**

**სხდომას ესწრებოდა:** ფრაქცია „ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე. ფრაქციის წევრები: ემზარ თევდორაძე, ოთარ პატიეშვილი.

**ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე /

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე /

3. სხვადასხვა საკითხები.

**ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება შ.პ.ს „ნევერონისთვის“ საოფისედ ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N126-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ყოფილი სასტუმრო) მეორე სართულზე მდებარე N107 (ს/კ 27.06.51.005.01.107), N108 (ს/კ

27.06.51.005.01.108) და N115 (ს/კ 27.06.51.005.01.115) ფართების გამოყოფას. მისი განმარტებით სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს გრიგოლ ორმოცადის სახელობის ცენტრ „ნევრონს“ 5 წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით და წლიური საიჯარო საფასურის ოდენობად განისაზღვროს ფართების (68,7 კვ.მ) ღირებულების 36 411 ლარი-5%-ის ოდენობით-1820,55 ლარი.

**თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:**

**მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება. ეს წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

**თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:**

**მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**სხვადასხვა საკითხები:** ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაწესრიგებელია რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები, სოფ. ჯაპანასა და ჩოლობარგში შესაკეთებელია 1,5კმ გზის საფარი.

**ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.**

ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის"-საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ახალი ძალა“  
თვითმმართველობის განვითარებისათვის“ წევრთა დასწრების სარეგისტრაციო  
ფურცელი

22 მარტი 2021 წელი  
14:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	14:00	გ. წულაძე
2	ოთარ პატიეშვილი	14:00	ო. პატიეშვილი
3	ემზარ თევდორაძე	14:00	ემზარ თევდორაძე